ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6072615

ნომერი: AR1916628

თარიღი : 05.08.2022

გაცემის თარიღი : 09.08.2022

გაცნობის თარიღი : 09.08.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ბრეკაშვილი პ/ნ 40001039606
- სიღნაღი ს. ქვემო ბოდბე მე–17 ქ. N 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

არ დგინდება შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ უფლებამოსილება. მშენებლობის შეტყობინებისას განმცხადებელს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს შეტყობინებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ინტერესი. შესაბამისად, წარმოდგენილი იქნას შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ მიერ ობიექტით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება ან სხვა). ასევე, საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის, შპს „ა.გ.დ.-ს“ მიერ გაცემული, დამოწმებული თანხმობა. წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის დამოწმებული. გაითვალისწინეთ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული სარგებლობის ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ამასთა, საჯარო რეესტრის ამონაწერში უკვე ფიქსირდება შპს „რომპეტროლ საქართველოს“ იჯარა. თუ ხელშეკრულება შეწყვეტილია წარმოდგენილი იქნას განხლებული ამონაწერი ან შპს „რომპეტროლ საქართველოს“ თანხმობა.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.